2018 წლის 25 აპრილს საქართველო-ევროკავშირის ადამიანის უფლებათა დიალოგის დღის წესრიგი

ა.წ. 25 აპრილს, ქ. ბრიუსელში დაგეგმილ ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის დიალოგის (HRD) მე-11 შეხვედრის შეხვედრის პირველადი დღის წესრიგის განხილვის მიზნით, 16 მარტს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა შეხვედრა საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელთან, დოროტა დლოუხი-სულიგასთან.

შეხვედრის დასაწყისში დელეგაციის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე დიალოგის ფორმატის არსებობის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ საქართველო მოწინავე ქვეყანაა ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის'' ქვეყნებს შორის ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. აღინიშნა, რომ ევროკავშირის სურვილია <u>დიალოგის წლევანდელი შეხვედრა წარიმართოს ინტერაქტიულ ფორმატში</u>. ევროკავშირის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ <u>შეხვედრამდე ორი კვირით ადრე სასურველია პრეზენტაციებისა თუ სხვა მასალების წინასწარი გაცვლა</u>, რაც მეტი დიალოგის და კითხვა-პასუხის რეჟიმში შეხვედრის წარმართვის საშუალებას მისცემს მხარეებს. ხაზი გაესვა დიალოგზე სხვა უწყებების წარმომადგენელთან ერთად, სახალხო დამცველის აპარატის მონაწილეობის მნიშვნელობას.

შეხვედრაზე დ. დლოუხ-სულიგამ აღნიშნა, რომ საქართველოში ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით დელეგაციამ კონსულტაციები გამართა როგორც საქართველოში აკრედიტებულ ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოების ხელმძღვანელებთან, ისე სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგნელებთან. გამართული კონსულტაციების საფუძველზე მათ მიერ მომზადდა ანგარიში და გაეგზავნა ევროპულ საგარეო ქმედებათა სამსახურს (EEAS), რომელიც საბოლოდ გაუზიარებს ევროკავშირის საბჭოს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების სამუშაო ჯგუფს (COEST) (დოკუმენტი არ არის საჯარო და მხოლოდ ევროკავშირის შიდა მოხმარების საგანს წარმოადგენს).

შეხვედრაზე დეტალურად იქნა გავლილი დღის წესრიგის პირველად პროექტში შემავალი საკითხები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დელეგაცია ელოდება ევროკაშირის მხარისგან დეტალურად გაწერილ პროგრამას, რომელსაც მიღებისთანავე გაგვიზიარებენ (სავარუდოდ - 4 აპრილი).

დელეგაციის წარმომადგენელი გამოვიდა ინიციატივით მოხდეს დღის წესრიგის ორი საკითხის გაერთინება, კერძოდ, 1. Human rights policy developments and priorities since the previous round of the HR dialogue და 7. Preparation of the new Human Rights Action Plan – priorities and state of play, გამოდინარე იქიდან რომ 1-ლი საკითხი ისედაც მოიცავს მე-7 თავში შემავალ საკითხს. ქართული მხარის თხოვნის შესაბამისად, დღის წესრიგის მე-8 საკითხი - Human rights situation in the Georgian regions of Abkhazia and the Tskhinvali Region/ South Ossetia including rights of IDPs გადატანილი იქნება მე-3 საკითხად. დღის წესრიგის დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით დელეგაციის წარმომადგენელმა მოგვაწოდა შემდეგი სახის არაოფიციალური ინფორმაცია, რომლითაც ევროკავშირის მხარე დაინტერესდება დიალოგის წარმართვისას:

- **1.Human rights policy developments and priorities since the previous round of the HR dialogue** - გასული წლის სხდომის შემდეგ მიმდინარე განვითარებები და პრიორიტეტები, ახალი სამოქმედო გეგმა.
- **2. Strengthening of national mechanisms of implementation of HR instruments** – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ გაეროს კონვენციის განხორციელების მექანიზმის ჩამოყალიბება; ადამიანის უფლებათა საბჭოს სხდომები, რომლებიც უკვე დიდი ხანია არ ჩატარებულა; სახალხო დამცველის არჩევის პროცესი.
- **3. Elections and electoral framework** - ადგილობრივი არჩევნები და OSCE/ODIHR რეკომენდაციები; საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით OSCE/ODIHR რეკომენდაციების შესრულება; პოლიტიკური პარტიების დაფინანსების რეფორმა; GRECO-ს რეკომენდაცია წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით; გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული მდგომარეობა პარლამენტსა და ზოგადად პარტიებში - კვოტების დაწესება.
- **4. Freedom and pluralism of media** - საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელევიზიაში რეფორმების გატარების შედეგად არსებული მდგომარეობა და მისი გავლენა კერძო მედიაში გასულ რეკლამებზე; ,,TV პირველზე'' და ტელეკომპანია ,,იბერიაზე''

ხელისუფლებების მხრიდან ზეწოლის განხორციელება. ევროკავშირის მხრიდან აღინიშნა, რომ რუსთავი2-ის საკითხი დამოუკიდებლად განხილული არ იქნება, თუმცა გამორიცხული არ არის, დიალოგის დროს ევროკავშირმა ზოგადად ხაზი გაუსვას ოპოზიციური ტელევიზიების უფლებების დაცვის აუცილებლობას და ამ კონტექსტში დაინტერესდეს ,,რუსთავი 2''-ის საქმეზე სასამართლოში მიმდინარე პროცესით.

- **5. Situation of minorities, including antidiscrimination policy** - ევროკავშირის მხარე განსაკუთრებით მწვავედ დააყენებს ანტი-დისკრიმინაციულ კანონში ცვლილებების შეტანის საკითხს, რომელიც ითვალისწინებს სახალხო დამცველის მანდატის გაძლიერებას, რათა მან შეძლოს კერძო ინსტიტუტებში მონიტორინგის განხორციელება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული ცვლილების შეტანის პირობა საქართველომ ევროკავშირს ჯერ კიდევ 2015 წელს პოსტ-ვიზალიბერალიზაციის მონიტორინგის პირველი ანგარიშის მომზადებამდე მისცა. აღნიშნულთან დაკავშირებით ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელმა შემდეგი კომენტარი გააკეთა - ''We were misled'';

  ეროვნული უმცირესობები და მათი ინტეგრაციის პროცესი; სახელმწიფო ენის შესახებ კანონი, რომლის შესრულებაზე მონოტორინგს უწევს პრემიერ-მინისტრის აპარატი; რელიგიის სააგენტოს საქმიანობა, მათ შორის ქონების დაბრუნების და ბათუმის მეორე მეჩეთის საკითხი, ასევე, იეღოვას მოწმეების და მუსლიმების წინააღმდეგ ძალადობის ფაქტები; 17 მაისს, LGBT უფლებების დაცვის კუთხით დაგეგმილი ქმედებები; ეროვნული უმცირესობებისათვის 1+4 პროგრამის შედეგები და სამომავლო ნაბიჯები.
- **6. Overall Implementation of the Human Rights Strategy and Action Plan in particular regarding** –
  - ✓ **Gender** - ,,ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება; გენდერული თანასწორობის კომისიის შექმნა; კონსტიტუციაში გენდერული თანასწორობის საკითხის შეტანა; შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებათა დაცვის ახლად შექმნილი დეპარტამენტის საქმიანობა;
  - ✓ **Children** – არასრულწლოვანთა ქორწინების შესახებ კანონის განხორციელება; ინიციატივა ბავშვთა კოდექსის შემუშავების თაობაზე; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის განხორციელება; საეკლესიო ბავშვთა თავშესაფარი და ამ კონტექსტში მუსულმანურ თემებში უსახლკარო ბავშვთა უფლებების მდგომარეობა; სკოლამდელი განათლების შესახებ კანონის განხორციელება; ბავშვთა თავშესაფრის დეინსტიტუციონალიზაცია;
  - ✓ **Labour rights** – კანონი შრომის უსაფრთხოებაზე და შრომის ინსპექტირება; სამმხრივი სოციალური დიალოგი;
  - ✓ **ill-treatment** – წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში (შსს) არასათანადო მოპყრობა; კანონი დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შესახებ და სახელმწიფო ინსპექტორი; დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მანდატის გაერთიანება (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ევროკავშირს აქვს გარკვეული კითხვები (concerns), რამდენად იქნება შესაძლებელი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის დამოუკიდებელი მანდატის უზრუნველყოფა).
- **7. Preparation of the new Human Rights Action Plan – priorities and state of play** - ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესი; უსახლკარო ადამიანების მდგომარეობა.
- **8. Human rights situation in the Georgian regions of Abkhazia and the Tskhinvali Region/ South Ossetia including rights of IDPs** – ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული მდგომარეობა.
- **9. Cooperation in international fora for the protection of human rights** - ევროსაბჭოს ფარგლებში ბელარუსში სიკვდილით დასჯის საკითხზე ევროკავშირის განცხადებებზე საქართველოს პოზიცია; სხვა საქართველოსთვის პრიორიტეტული საკითხები.

რაც შეეხება ინდივიდუალურ საქმეებს, ევროკავშირის მხრიდან აღინიშნა, რომ კონკრეტული ინდივიდუალური საქმეები ამ ეტაპზე იდენტიფიცირებული არ არის (სავარაუდოდ, 4 აპრილს, დღის

წესრიგის სხვა საკითხებთან ერთად გახდება ცნობილი), თუმცა მოსალოდნელია ორი შემთხვევის წამოწევა, მათ შორის ერთ-ერთი შესაძლოა იყოს აფგან მუხთარლის საქმე და მეორე სახალხო დამცველის ანგარიშში შეტანილი საქმეებიდან ერთ-ერთი, რომელზედაც სახალხო დამცველი გამოძიების დაწყებას ითხოვს.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის რეკომენდაციაა, დიალოგის ფარგლებში არ მოხდეს ინდივიდუალური საქმეების განხილვა, თუმცა ბრიუსელი დაჟინებით ითხოვს.

გასული წლების მსგავსად, HR დიალოგის მე-11 შეხვედრის დასრულების შემდეგ გამოქვეყნდება ერთობლივი პრეს-რელიზი (ინგ/ქარ. ენებზე), რომელიც მხარეების მიერ წინასწარ იქნება შეთანხმებული. ამასთანავე, ევროკავშირის მხარეს დროულად უნდა ვაცნობოთ დიალოგზე თარჯიმნის საჭიროების საკითხი.